საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# ბრძანება N 01-02/207

ქ. ბათუმი

12 ნოემბერი, 2021 წელი

ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე
„ბაგა - ბაღის აღმზრდელი - პედაგოგი“ (2018 წლის საშემოდგომო მიღება)
საკვალიფიკაციო კომისიის შექმნის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი“-ს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 ოქტომბრის N02 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 8 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის 2021 წლის 12 ნოემბრის N1217863 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუს-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბაგა-ბაღის აღმზრდელი-პედაგოგი“ პროფესიული სტუდენტებისათვის (2018 წლის საშემოდგომო მიღება) კვალიფიკაციის მინიჭების მიზნით შეიქმნას საკვალიფიკაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
   ა) მადონა მიქელაძე - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი, კომისიის თავმჯდომარე;
   ბ) მამუკა გოგელია - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, კომისიის წევრი;
   გ) მანანა პატარაია - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სპეციალისტი, კომისიის მდივანი;
   დ) ნანი მამულაძე - პროფესიული განათლების მასწავლებელი;
   ე) ნანა ერემაშვილი - ქ. ბათუმის N 2 საბავშვო ბაღის გამგე.
2. კომისიამ იხელმძღვანელოს ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ' ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანებით, პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეებით და წინამდებარე ბრძანებით.
3. კომისიამ იმუშაოს 2021 წლის 15 ნოემბერს, დღის 12:00 საათიდან 17:00 საათამდე.

4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: ,,რექტორის აქტები" და ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი'').
5. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და კომისიის წევრებს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორის მოადგილე, პროფესორი თ. სირაძე თამარ სირაძე